



# შირაკი

## SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან  
დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№26 (10.082)  
22 - 29 ივლისი 2023 წელი  
ფასი: 60 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა

### „საღამო არის ჩემი წიგნი“

## მაღა



სულ მაღე დღის სინათლეს იხილავს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ავსტრიელი პოეტის, რაინერ მარია რილკეს, ლექსების კრებული ქართულ ენაზე - „საღამო არის ჩემი წიგნი“.

ამ პატარა კრებულში რაინერ მარია რილკეს 50 ლექსია შესული.

რილკეს შემოქმედებას წლების განმავლობაში დიდი სიფრთხილითა და დაფიქრებით თარგმნიდა დედოფლისწყაროელი პოეტი **ირმა შიოლაშვილი**. საბოლოოდ, ამ თარგმანებმა ერთად მოიყარა თავი კრებულში, რომელიც, ლიტერატორ გიორგი ლობჯანიძის შეფასებით, „დიდი ცოდნის, გერმანული და ქართული პოეტური ტრადიციების უფაქიზეს ნიუანსებში წვდომისა და დიდი სულიერი თანაზიარობის შედეგია...“.

ის ლექსებიც კი, რომლებიც ქართველი მკითხველისათვის, სხვადასხვა და ხშირად გენიალური მთარგმნელების წყალობით, უკვე კარგად ცნობილია, ამ თარგმანებით რაღაცით განსხვავებულად და ახლებურად იკითხება.

შეგახსენებთ, რომ წიგნის პრეზენტაცია 27 ივლისს, 19:00 საათზე, მწერალთა სახლში გაიმართება.

### მორიგი წარმატება პარასპორტსმენებისგან



## მორიგი სტიქია კახეთის რეგიონში

გასულ კვირას, ძლიერი ქარის, სეტყვისა და უხვი ნალექის შედეგად პრობლემები შეიქმნა ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშილმა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მერთან, ჯონდო მდივნიშვილთან და მერის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე განიხილეს სტიქიის შედეგად შექმნილი პირველადი ვითარება და სამოქმედო გეგმა დასახეს.

ორივე მუნიციპალიტეტის სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ ზარალის მუდმივმოქმედი შემსწავლელი კომისიები, რომლებმაც აღრიცხეს სტიქიის შედეგი.

ძლიერმა ქარმა მოგლიჯა ხეები და დააზიანა რამდენიმე საცხოვრებელი სახლის სახურავი, დაისეტყვა საკარმიდამო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. სოფლებში, ქარისგან მოგლეჯილი ხეების დაცემის-



გან დაზიანდა შენობები, სათავსოები და ლობეები. დაინგრა საცხოვრებელი სახლი სოფელ მშვიდობიანში.

აღდგენითი სამუშაოებისთვის მობილიზებული იყო ადგილობრივი და მეგობარი მუნიციპალიტეტების, მათ შორის

დედოფლისწყაროს, ყველა შესაბამისი და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, როგორც ცოცხალი ძალა, ასევე, მძიმე ტექნიკა. გაინმინდა დატბორილი და ჩახერგილი გზები.



### არწივების ახალი თაობა დაფრთიანდა



### რატომ გადაიდო ქოხულეთში მოკლული მაჩხანაელი ბიჭის სასამართლო





# დედოფლისწყაროდან მაღალმთიან აჭარაში

საქართველოს „ნითელი ჯვრის საზოგადოების“ დედოფლისწყაროს რეგიონულ სამსახურში კვლავ სიახლეები. ექიმთა მობილური გუნდი ამ დღეებში მაღალმთიანი აჭარის რეგიონში იმყოფებოდა სამუშაო ვიზიტით.

სანამ უშუალოდ ამ თემას შევხებით, მანამდე ორიოდე სიტყვით მისის თვეში ნითელი ჯვრის სამსახურის და მეორე სკოლის მიერ ჩატარებულ ერთობლივ ღონისძიებაზეც ვუბარებთ მკითხველს. 8 მისის კულტურის სახლის ეზოში ნითელი ჯვრის ორგანიზაციის და მეორე სკოლის პედაგოგის ნონა ტოკლიკიშვილის და მისი მოსწავლეების მიერ მოწყობილი

საქველმოქმედო აქცია „ფლეამარკეტი“, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრები იყო გამოფენილი, ხოლო დასასრულს შემონირული თანხებით მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მოხუცებისთვის შექმნილ იქნა სასურსათო ამანათები. გარდა ამისა, ნითელი ჯვრის სათაო ოფისმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს გადასცა „ელსი ვაკიკის“ პროდუქცია-ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით გადაეცა მათ მიერვე შერჩეულ მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებს: პენსიონერებს, მარტოხელა დედებს და ა. შ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ დღეებში დედოფლისწყაროს ნითელი ჯვრის ორგანიზაცია შუახევის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა სამედიცინო აქციის მიზნით. ამ თემაზე გვესაუბრება ნითელი ჯვრის სამსახურის უფროსი, ექიმი-გინეკოლოგი ქ-ნი ნათელათამაზაშვილი: „მოგესხენებათ, რომ ჩვენი ორგანიზაცია ადგილზე 2016 წლიდან აქტიურად ფუნქციონირებს. ამ

წლების განმავლობაში ჩვენ უამრავი საქველმოქმედო ღონისძიება განვახორციელეთ არამხოლოდ გეგმიური აქციების ფარგლებში, არამედ მოსახლეობის მართვინობის მიხედვითაც, რაც გულისხმობს, როგორც ყოველწლიურად ათასობით მოქალაქის გასინჯვას სხვადასხვა პროფილის ექიმთა მიერ, ასევე განხორციელებულ საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ აქციებს. ამჯერად სამედიცინო შემთხვევების მიზნით, ჩვენი მობილური ჯგუფი სრული აღჭურვილობით ვიმყოფებით მაღალმთიან აჭარაში, კერძოდ, შუახევის მუნიციპალიტეტსა და მის ორ სოფელში-მოსახლეობის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით და ჩავატარებთ სამედიცინო გამოკვლევები რადიოლოგიის, კარდიოლოგიის, ოფთალმოლოგიისა და გინეკოლოგიის განხრით. ჩვენი მობილური ჯგუფის მიერ სულ გამოკვლევულ იქნა 216 პაციენტი 2 დღის განმავლობაში. ასევე მინდა განვაცხადო, რომ დაგეგმილი გვაქვს დედოფლისწყაროს



მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობის (და არა მხოლოდ სოციალურად დაუცველების) სამედიცინო გამოკვლევები მათი სურვილისა და მოთხოვნის შესაბამისად, აგრეთვე, ვგეგმავთ, ჩვენს სოფლებში გასვლით სამედიცინო აქციებს, რომლებიც აუცილებლად უნდა მოხდეს სოფლების რწმუნებულებისა და ოჯახის ექიმების ხელშეწყობითა და ორგანიზებით.“

ესაუბრა  
ილზა ხარაშვილი

## სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ეთიკური ჩარჩო

სოციალური პასუხისმგებლობა არის ეთიკური ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ინდივიდი ან ბიზნესი მზად არის თავიანთი სამოქალაქო მოვალეობის შესასრულებლად და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმის გასაკეთებლად. თუ კომპანია ან პირი ისეთ ქმედებებს ახსოვრებებს, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს ან საზოგადოებას, ეს ქმედებები განიხილება სოციალურად უპასუხისმგებლოდ.

საზოგადოების კეთილდღეობაზე, დადებითი წვლილი შეიტანოს სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

სოციალური პასუხისმგებლობის ნამდვილი და ნათელი მაგალითია მინი ჰაშაშვილი. მას ხილ-ბოსტნეულის მაღაზია აქვს და მოსახლეობის ჯანსაღი პროდუქტით მომარაგებაზე ზრუნავს. როგორც გაზეთმა „შირაჟი“ გააკვირა, გია ყაჭაშვილი პროფესიით მოქანდაკეა და ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირი აქვს. შეუძლია ლამაზი კომპოზიციების შექმნა და ლანდშაფტის დაგეგმარება. აქედან გამომდინარე, სულ ცოტა ხნის წინ მან სოციალური პასუხისმგებლობა გამოიჩინა და საკუთარი ინიციატივით, მის გარშემო და არამარტო, ტერიტორიის გამწვანება/გალამაზებაზე იზრუნა. დარგო ხეები, ნარგავები და მცენარეები, რომლებიც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მოპირკეთებულ და გალამაზებულ ჰერეთის ქუჩას. გაზეთი დაინტერესდა თუ რამ გადაწყვეტინა მას ამ პასუხისმგებლობის გამოჩენა, მიიღო თუ არა მხარდაჭერა გარემომცველებისგან და რას აპირებს იგი სამომავლოდ ამ იმართულებით.

გია ყაჭაშვილი: „ყველა რიგით მოქალაქეს და ბიზნესის წარმომადგენელს, ვფიქრობ, აუცილებელია ჰქონდეს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა. ეს ჩვენი ქალაქია, ჩვენი საცხოვრებელი გარემოა და ყველამ უნდა იზრუნოს მის გალამაზებაზე. უპირველესად, ადამიანს თვითონ უნდა სიამოვნებდეს მონესრიგებული გარემო. სხვაც რომ კმაყოფილია მონესრიგებული გარემოთი, ჩემთვის ეს ათმაგად სასიხარულოა. ყველაფერი კი ერთი პროექტით დაიწყო, რომელიც ENPARD-2: სოფლის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, დაფინანსებით განეხორციელებოდა. ეს პროექტი გათვლილი მქონდა რაიონის კონკრეტული ტერიტორიების გამწვანებაზე. ამ პროექტის მიზანი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დაინტერესებაც იყო, რათა ერთმანეთის გვერდში დგომით შეძლებისდაგვარად გვეზრუნა ჩვენს საცხოვრებელ გარემოზე, ყველა არსებული სკვერის მონესრიგებაზე. ჩემი ძალეებით უნდა გამელამაზებინა ერთი სკვერი მაინც. აქედან გამომდინარე, აგვისტოს ომში დაღუპული გმირების მემორიალი გავამწვანე 1200 ძირი ყვავილით, სრულიად უფასოდ, ჩემი ინიციატივით,

მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ამ მცენარეების სათანადო მოწვავა და მოვლა-პატრონობა. გარდა ამისა, პირველი სკოლის წინ არსებულ წრეზე დავრგეთ ყვავილები. მიხილეთ და ამ აქციებში ჩამერთო მოსწავლეები, ახალგაზრდები, სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლები, მეგონა, თავიანთ დარგულ მცენარეებს მოუვლიდნენ და გაუფრთხილდებოდნენ. ვფიქრობდი, ამ კეთილ საქმეში ამყვებოდნენ ბიზნესის სხვა წარმომადგენლებიც, მაგრამ აქაც, სამწუხაროდ, მოლოდინი მოლოდინად დარჩა და არავინ გაითავისა ეს პასუხისმგებლობა. როდესაც გვაქვს ვინო ხედავ და მასშტაბურად არ ვუყურებთ ამ საქმეს, საერთო კეთილდღეობა როდესაც არ არის ჩვენი თვითმიზანი, ეს ხდება სწორედ საქმის არ კეთების მიზეზი.

ალსანიშნავია, რომ ჩვენი ქალაქი ლამაზდება, მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ამის პარალელურად აუცილებელია გამწვანებაზე ზრუნვა. სასურველია, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ამ საკითხზეც აქტიურად იზრუნოს. ამას როგორი გზებით მოავგარებს, ეს მათი გადასაწყვეტია.



კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, ანუ „პასუხისმგებელი ბიზნესი“ ნიშნავს, რომ კომპანია არა მხოლოდ აკმაყოფილებს საკუთარი მომხმარებლების მოთხოვნებს, არამედ ითვალისწინებს აგრეთვე სხვა ადამიანების - თანამშრომლების, მომწოდებლების, მის მეზობლად, თემში, მცხოვრებ ადამიანების მოლოდინებს. შესაბამისად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს საზოგადოების კეთილდღეობაში დადებითი წვლილის შეტანას და იმ ზემოქმედების მართვას, რომელსაც ახდენს ბიზნესი გარემოსა და ადამიანებზე. ეს არის კომპანიის კეთილი ნების საფუძველზე აღებული პასუხისმგებლობა და არა სახელმწიფოს სამართლებრივი მექანიზმებით დაკისრებული ვალდებულება. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, არსებითად, არის ბიზნესის კეთილი ნება, აიღოს თავის თავზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე მას კანონით ეკისრება, შეგნებულად გასცდეს მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და ნებაყოფლობით იზრუნოს აგრეთვე



იყოს ეს თუნდაც დამატებითი სპეციალური სამსახურის შექმნა, რომელიც პროფესიონალებისგან დაკომპლექტდება და იზრუნებს ქუჩებში არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობას. ამის საჭიროება დღეს ნამდვილად დგას. სამწუხაროდ, მცენარეებზე მოთხოვნის დეფიციტის გამო დღეს სათბურები უფუნქციოდ მარტო დარჩენილი. მოთხოვნის შემთხვევაში, შემოიღო საკუთარი სათბურებიდან მოვამარაგო მუნიციპალიტეტი ამ ძალიან კარგი საქმის-ჩვენი საცხოვრებელი გარემოს გალამაზება-მონესრიგების განსახორციელებლად“.

გარდა ამისა, გია ყაჭაშვილი საკუთარი მაღაზიიდანაც ყოველდღიურად გასცემს პროდუქტს სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისთვის. ამბობს, რომ „როდესაც ადამიანს დახმარება სჭირდება, შენ შეგიძლია დახმარების ხელის განვადენა და ამას არ აკეთებ, ამ დროს არც ღმერთთან ხარ მართალი და არც საკუთარ თავთან“. იმასაც იმედოვნებს, რომ სამოქალაქო სექტორი და საზოგადოება მეტად გაითავისებს სოციალური პასუხისმგებლობის არსს, იმ მიზეზებსა თუ სიკეთეებს, რაც მას მოაქვს არამარტო ინდივიდებისთვის, არამედ ბიზნესის, ქალაქის, თემის, სამეზობლოს განვითარებისთვის.

გაზეთი „შირაჟი“ წარმატებულს უსურვებს მას და იმედოვნებს, რომ კიდევ გამოჩნდებიან პასუხისმგებლიანი, საერთო და კეთილი საქმისთვის გულანთებული ადამიანები, რომლებიც საცხოვრებელ გარემოსა თუ სამუშაო სივრცეს განსაკუთრებულ ადგილად აქცევენ, ადგილად, რომლის დანახვაც სიხარულსა და ბედნიერებას მოუტანს ყველას.

შუშუნა ყანაშვილი  
სათუნა განაშვილი



# რამდენი იქნება 2023-2024 წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობა და პროგრამული დაფინანსება?

საქართველოს მთავრობამ, 2023-2024 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ დადგენილება გამოაქვეყნა.

იგი, მიმდინარე წლის 18 ივლისით თარიღდება და შემდეგ საკითხებს განსაზღვრავს:

1. 2023-2024 სასწავლო წელს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულებების დაფინანსების მოცულობა 12 723 750 ლარით განისაზღვრება.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობა 12 600 000 ლარით განისაზღვრება.

3. სრული და ნაწილობრივი ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტები ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტებისათვის გაიცემა 9 155 000 ლარის ფარგლებში.

4. 2023-2024 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა 2 250 ლარით განისაზღვრება.

5. თუ სტუდენტმა მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა, კერძო სამართლის იურიდიული პირის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ამ დაწესებულების მიერ დადგენილ სწავლის საფასურს სახელმწიფო ფარავს მხოლოდ სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის ფარგლებში.



6. 2023-2024 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობები კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დასაფინანსებლად განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) სრული ოდენობის 70 პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1 575 ლარისა;

ბ) სრული ოდენობის 50 პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1 125 ლარისა.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხა ნაწილდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდეგ საგნებზე: მათემატიკა; ბიოლოგია; ქიმია; ფიზიკა; ზოგადი უნარები; ისტორია; გეოგრაფია; ლიტერატურა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; სამოქალაქო განათლება.

8. ამ მუხლის მე-2 — მე-7 პუნქტებით დადგენილი წესი არ გამოიყენება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზური ენისა და ოსური ენის ტესტების შედეგ-

ბის საფუძველზე ჩარიცხული იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისას, რომლებიც გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. ამ სტუდენტთათვის 2023-2024 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა შეადგენს 2 250 ლარს.

9. თუ ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზური ენისა და ოსური ენის ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულმა სტუდენტმა მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი, კერძო სამართლის იურიდიული პირის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ამ დაწესებულების მიერ დადგენილ სწავლის საფასურს სახელმწიფო ფარავს მხოლოდ ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის ფარგლებში.

10. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეადგენს 2 520 000 ლარს.

11. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაფინანსება შეადგენს 240 000 ლარს, რომელიც გაიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად.

12. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება შეადგენს 225 000 ლარს.

13. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება შეადგენს 225 000 ლარს.

14. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ აფხაზური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება შეადგენს 10 000 ლარს.

15. ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება შეადგენს 10 000 ლარს.

ის სტუდენტები, რომლებიც სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მოიპოვეს სრულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს, ნაწილობრივ სახელმწიფო სასწავლო გრანტს ან ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის გაზრდის უფლებას, მოპოვებული ქულების მიხედვით, დაფინანსდებიან 215 000 ლარის ფარგლებში, შემდეგი ოდენობებით:

ა) სრული სახელმწიფო სასწავლო გრანტი — 70 000 ლარი;

ბ) სრული სახელმწიფო სასწავლო გრანტის 70 პროცენტი — 70 000 ლარი;

გ) სრული სახელმწიფო სასწავლო გრანტის 50 პროცენტი — 75 000 ლარი.

## მორიგი წარმატება პარასპორტსმენებისგან

ალსანიშნავია, რომ საქართველოში პარასპორტი მალა დონეზე განვითარებულია. ამის დასტურია ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული არაერთი მალა დონის რანგის ტურნირი და ის წარმატებები, რომლებსაც ჩვენი პარასპორტსმენები პარასპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო ტურნირებში აღწევენ. სწორედ ასეთ, სპორტის ერთ-ერთ წარმატებულ და პერსპექტიულ სახეობად ჩამოყალიბდა პარატაეკვონდო, რომლის არსზეც ჩვენი გაზეთი სხვადასხვა ნომრებში წერდა.

სულ ცოტა ხნის წინ, საფრანგეთში გამართული ორი ტურნირიდან - საფრანგეთის ლია ტურნირიდან და ევროპის ჩემპიონატიდან საქართველოს პარატაეკვონდოს ნაკრები გუნდი ჯამურად ათი მედლით ჩამოვიდა. აქედან რვა ოქროს მედალია და ორი ბრინჯაო. საქართველოს პარატაეკვონდოს ნაკრებმა გუნდმა წარმატებით იასპარეზა საფრანგეთის



ლია ჩემპიონატზე. ჩვენი ნაკრების ანგარიშზე ხუთი მალა დონის მედალია. გიორგი ხიზანიშვილი, გოგა ხახალაშვილი, ანდრეი სლეპცოვი, გელა ზარქუა ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ, ლიკა ჩაჩიბაია ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

შოთა გოჩიაშვილი, საქართველოს პარატაეკვონდოს ნაკრების მწვრთნელი: „უპირველეს ყოვლისა, მადლობა უნდა გადავუხადო პარალიმპიურ კომიტეტსა და პარასპორტის განვითარების ცენტრს გვერდში დგომისთვის. მათ დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს თითოეულ წარმატებაში, რადგან ჩემი ნებისმიერი თხოვნა მათი მხრიდან დაკმაყოფილებული და შესრულებულია. უარი არაფერზე მიმიღია. ჩვენ მხოლოდ სამი წელია რაც ვარსებობთ, აქედან ორი წელია რაც ოფიციალურ შეჯიბრებებზე დავიწყეთ გამოსვლა. რა თქმა უნდა, სასიხარულოა, ასეთი შედეგების მიღება, მაგრამ მე, როგორც მწვრთნელს ის უფრო მახარებს, რომ წლიდან წლამდე ჩვენი გუნდი პროგრესირებს. ამას მხოლოდ მე კი არა, საერთაშორისო დონისა და სხვადასხვა ქვეყნების მწვრთნელებიც ხედავენ. ყოველ ახალ შეჯიბრზე ჩვენთან სხვადასხვა გუნდების მწვრთნელები მოდიან და ერთობლივ ვარჯიშებს გვთავაზობენ. ეს ბევრ რამეზე მიუთითებს. მათ გვერდში დგომას, დაინტერესებას ვხედავ. ვფიქრობ, ეს არ არის ჩვენი მაქსიმუმი და გუნდს მთავარი წარმატებები ჯერ კიდევ წინ აქვს. ჩვენი წარმატების მთავარი ფორმულა, ვფიქრობ, დაუღალავი შრომაა. სპორტსმენები, ექიმები, დამხმარე მწვრთნელები - ვარჯიშზე ყველა მაქსიმალურად იხარჯება და მთელს

გულს დებს თავის საქმეში. დღეს ჩვენს ნაკრებში 15 სპორტსმენია, მათ შორის ახალწვეულებიც, რომლებიც ჯერ ჯერობით, არ არიან საშეჯიბრო პროგრამაში ჩართულები. ძირითად ბირთვს 9 სპორტსმენი წარმოადგენს, აქედან 2 გოგონაა, დანარჩენი ვაჟები. რაც შეეხება ტურნირებს - საკმაოდ მალა დონის და სირთულის შეჯიბრებები გაიმართა. მომავალი ოლიმპიადის გამო, მსოფლიოს მასშტაბით ყველა ცდილობს, რომ არ ჩააგდოს არცერთი ტურნირი და ლიცენზიისთვის ქულები მოიპოვონ. სწორედ ამიტომ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ორივე ტურნირზე თავმოყრილი იყო მსოფლიოს წამყვანი სპორტსმენების 95%. აქედან გამომდინარე, მსგავსი სირთულის ტურნირზე ასეთი შედეგით, ძალიან კმაყოფილი ვარ“.

დედოფლისწყაროელი გიორგი ხიზანიშვილი, ორივე ტურნირის ოქროს მედალოსანია. მისი თქმით, გუნდურ მუშაობას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სპორტის ისეთ სახეობაში, როგორც ტაეკვონდო. „ტაეკვონდო გუნდური სპორტია, ამიტომ გუნდის როგორც ფიზიკურ, ასევე მორალურ მხარდაჭერას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მორიგ შეჯიბრებებზე გასვლა ახალი გამოწვევების წინაშე გვყავს. გამოწვევების, რომლე-



ბიც უნდა დაძლიო. მსგავსი ტიპის საერთაშორისო ტურნირები კი ამის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა. ის კარგი გამოცდილება ხდება სპორტსმენისთვის, ემოციების მართვისა და ნერვიულობის დასაძლევად.

მინდა, ყველას, ვინც ამ პერიოდში გვერდში მედგა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო. სათითაოდ ყველას, ვისაც ყოველთვის უხარია ჩემი წარმატება და იზიარებს მას. მადლობა ემოციებისთვის, სიხარულისთვის, ბედნიერებისთვის. ძალიან მიყვარხართ!“.

შეგახსენებთ, 30 ივნისს, საფრანგეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ჩვენი პარასპორტსმენები ოთხი ოქროს და ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ. ვულცავთ მთელს გუნდს, მთავარ მწვრთნელს შოთა გოჩიაშვილს გამარჯვებას და მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებთ ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენის საქმეში.

მოამზადა  
ჟუჟუნა ყანაშვილი



# საყოფაცხოვრებო ნაბეზობანი ქიზიყში

## დარბაზული სახლი

უნინ, ქიზიყში ბანიანი და დარბაზული სახლები ყოფილა, რომლებიც ახლა აღარ არის. ბანიანი სახლს ზემოდან სახურავად მიწა ჰქონია გაკეთებული, გატყეცილი, რომელზეც გოგო-ბიჭები თამაშობდნენ-იგონებდნენ მოხუცები. ბანიანი სახლი მიწაში იყო, ამიტომ მიწურ სახლსაც ეძახდნენ.

რაც შეეხება დარბაზულ სახლებს, მისი ძირითადი ელემენტი იყო ორი დედაბოძი, რომელსაც თავზე ბულაური ედგა სიმაგრისათვის და ძელები მასზე გადაებული. დედაბოძზე დამყარებულია და ეფუძნება მთელი გადახურვის სისტემა, რომელსაც გვირგვინი ჰქვია. გვირგვინი ბოლოვებდა სათვალით, საიდანაც შუქი ჩამოდიოდა და ბოლი ადიოდა.

დედაბოძი ზევით, ბულაურთან განიერია და ბრტყელი, ვიდრე ძირი. დედაბოძს დიდი სიმიმისათვის უნდა გაეძლო, მიტომ მზადდებოდა მაგარი ხის ჯიშისგან. ჩვეულებრივ მუხისგან, სიმაღლე მერყობდა 6 მეტრამდე, ჰქონდა ლათინური ასო T-ს მოყვანილობა.



ქიზიყურ სახლის გვირგვინი 16 წყე-ბისაგან შედგებოდა. დედაბოძს სოფლის ხელოსნები აკეთებდნენ, რადგან ყველას არ შეეძლო მისი გათლა. მას აჭრებდნენ სატყეხით, დახაზავდნენ დანით და მერე სატყეხით ამოიღებდნენ ბულაურებს. აღსანიშნავია, რომ დაჭრელებული ხაზი კერას უყურებდა. დედაბოძზე გამოსახული იყო სხვა-დასხვა გეომეტრიული ორნამენტები-ბორჯღალი, მთვარისა და ვარსკვლავის გამოსახულებიანი, მცენარეები, ცხოველები, ფრინველები, ჯვრის გამოსახულება. ნრეში ჩასმული მზე და და ურმის თვალი სოლებითურთ. დედაბოძზე აღნიშნავდნენ სახლის აგების თარიღს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დარბაზული სახლი საფუძვლად დაედო ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის სტრუქტურას.

დედაბოძთან კერა ყოფილა გამართული, სადაც ცეცხლი ენთო. კერასა და დედაბოძს შუა კერის ქვა დებულა, რომ ცეცხლი ბოძისკენ არ გაეშვა. ქვაზე გამოულეველად მარილის ქვა იდო. (მარილი ცეცხლთან მშრალად არის და არ ტირისო). სახლს ება ერთიანი კარი. ამ კარს მოხსნიდნენ, კამეჩებით შეათრევდნენ ვეება მორს და დაუდებდნენ კერაზე. ბოლავედა გამუდმებით და შპოლავადა იქაურობას. თვალები სულ დაჭარხლებული და აცრემლებული ჰქონდათ.

კერიდან მოდიოდა სიტობო, სინათლე და სინმინდე. კერაში დანთებული ცეცხლი ოჯახის კეთილდღეობის ნიშნად იქცა. ეს გარემოება ხალხურ ლექსშიც აისახა:

„ჯერ ვადგეკელთო კერათ,  
იმას უცქერის ყველათ,  
მერე სახლს საძირკველი  
სტუმარი და მასპინძელი“.  
ძველ ქართულში იხმარებოდა ტერ-მინი-კერავი, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონში ასეა განმარტებული-კერა არის „მუგუზლის თავის სადები“.  
კერის მაღლა ჩამოკიდებული იყო საკიდელი თავისი განუშორებელი, გა-



მურული ქვებით. კერას გარშემო იკრიბებოდნენ ოჯახის წევრები. თითოეულ მათგანს განსაზღვრული ადგილი ჰქონია. შუა ცეცხლთან, ველზე საპატო ადგილზე საუფროსი სკამი იდგა, სადაც ოჯახის უფროსი ჯდებოდა, მის მოპირდაპირე მხარეს კი დიასახლისი. ოჯახის დანარჩენი წევრები კი ნახევრად შემოუსხდებოდნენ კერას.

ცეცხლის მოვლა-პატრონობა ქალის საქმი იყო ოდითგანვე. ოჯახის დიასახლისი ნალევრდალს ნაცარში ახვევდა, დილით გაალვივებდა და აანთებდა.

კერასთან ერთად დედაბოძი უმნიშვნელოვანეს საკულტო ობიექტად ითვლებოდა. კერასთან საქორწინო თუ დაკრძალვის რიტუალები იმართებოდა. დიასახლისი პატარძალს 3-ჯერ შემოატარებდა. კერის გარშემო, დალოცავდა და ახალი პატარძალი ამ ოჯახის ღირსეული წევრი ხდებოდა.

დარბაზულ სახლს კედლებში დატანებული ჰქონდა ნალოები ქვეშაგის შესანახად, საბარგები ბარგის შესანახად, სასკივრები სკივრების დასადგამი (სკივრებშიც ბარგი ინახებოდა) კიდობნები, განჯინები-ჭურჭლის დასაწყობად. თახჩები ნიკა-მაკა, ნარამან-რა სახმარი რამეების შესანახად. ნალოს ძველად კარებს თითქმის არ აბამდნენ

და ჩითის ფარდას ჩამოაფარებდნენ ხოლმე წინიდან. მხოლოდ შემდეგ შემოიღეს კარის შებმა. სასკივრე და საბარგე გაყოფილი იყო ერთმანეთისგან გარდიგარდმო ფიცრით. რომელიც თაროსავით არის. დაბლა კოდობანი დაიგებოდა, მაღლა-სკივრი. კიდობნებში უფრო ხილულს ინახავდნენ, სკივრში ბარგს-ტანისამოსს და მისთანას. განჯინას შგნით თაროები აქვს, რომელზეც გამწკრივეულია ჭურჭელი და შებმული აქვს ორიანი კარი.

სიგრძივი კედლების გაყოლებაზე გამართული ყოფილა ტახტები და ლოგინები ქვეშაგებისათვის. ასეთ დარბაზულ სახლებში თითოეულ რძალს ცალკე კუთხე ჰქონია მიჩენილი თავისი ნალოთი, სასკივრეთი, ცალკე ლოგინით, რომელიც თავისი ქმარ-შვილის და თავისთვის ერთად გაიშლიდა ქვეშაგებს.

დარბაზული სახლები მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში შეცვალა ქვითკირის სახლებმა და დარბაზული სახლები დავიწყებას მიეცა.

**დალი პალაშვილი**  
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მკვლევარი

# ივანე გომელაური - დიდი პედაგოგი მირზაანიდან

ამ დღეებში სოფელ მირზაანში ჩამოვიდა ივანე გომელაურის შეილიშვილი **იანე გომელაური** მეუღლით. ეძებს პაპის ნამოსახლარს და საგვარეულო საძვალეს, ის ასევე ეძებს სახათესაოს. თუ ვინმე ენათესავებით ივანე გომელაურს, სურთ გამოხმაროთ მის შთამომავლებს.

გაზეთი „შირაქი“ გთავაზობთ საინტერესო დეტალებს **ივანე გომელაურის** ცხოვრებიდან. ათიოდე წლის წინ ქალაქ დედოფლისწყაროში არსებულ მეტალურგების ქუჩას სწორედ ივანე გომელაურის სახელი ეწოდა.

\*\*\*

ივანე მიხეილის ძე გომელაური 1867 წლის 22 სექტემბერს შექმნილი გლეხის ოჯახში დაიბადა. თავდაპირველად განათლების მისაღებად ჯერ ზემო მარხაანის სკოლაში გააგზავნეს, მალევე მირზაანში ახლადგახსნილ პირველდანიებით სასწავლებელში დააბრუნეს. დაწყებითი განათლება სოფლის დაწყებითი სკოლაში მიიღო, ხოლო 12 წლისა მშობლებმა სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში შეიყვანეს. 1886 წელს ჭაბუკი გაემგზავრა თბილისში და შევიდა სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც 1890 წელს წარმატებით დაამთავრა. 1899 წელს თბილისის გიმნაზიაში მიიწვიეს აღმზრდელ მასწავლებლად. იგი აქტიურად მონაწილეობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფილიალში, დრამატულ საზოგადოებაში და სახალხო უნივერსიტეტში. შეგახსენებთ, რომ ჩვენს რაიონში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჯერ ზემო მარხაანსა და მირზაანში ამოქმედდა.

მასწავლებლობდა ოზურგეთში, ზუგდიდში, სოფელ ტორძისში, თბილისის ქართულ გიმნაზიაში, ძველ სენაკში, წინამძღვრიანთკარში, ბაქოში; ასწავლიდა

მირზაანი რომ მომხიბვლია, მგონი მოდავე არ მეყოლებოდა. ამდღეებულ მთავარი გარემოებებიდან ტოლი არა ჰყავს. კავკასიონის სიღალღაც ასე ლამაზად არსადიან მოჩანს. ტყეებში ლამაზად დაფარულ გორებს შორის არის „ციაანის“ ტაფობი, ყოველწინდის ეკლესია და კავთი. ზევში კი „კონოლა“ წყარო მორაკურაებს თიხის მიღარებში. თავს მდიდრულად ასლანის ჩრდილი და ნიკალას მუზეუმი წარმოადგოდა. მათათ რიგი გრძელდება ქვბთახევისკენ. ეს სახელი მას იმიტომ ჰქვია, რომ იქ არის ორი გამოქვაბული. და ქვბთახევის წყარო „სანუნელაა“. „კოშკაანთ“ ტყეებს შორის ჩუხტიანთ ხევისა, რომელსაც თავს გვირგვინად ადგას ალავერდის ტაძარი. ეჰ, მაინც რამდენი დღეობა მინახავს აქ გამართული, შიშაღა მუხებში ჩამყდარი მოქიფივები, რამდენი მოზვრისთვის მოუგვრხიათ აქ კისერი, რამდენი რქებჩარეხილი ჭედილა დაკიდებულა კიბალზე, რამდენი ღვინის ტიკი აქ გამოცლილა, რამდენი მეყვარეული წყვილის ჯვარისწერა აქ მომხდარა, რამდენი ბავშვი აქ მონათლულა რამდენ ვაჟკაცს ჭიდაობაში აქ გამოუჩინია თავი.

ალავერდიდან გრძელდება „რაღიანის“ ტაფობი, სადაც მირზაანელთა ძვალშესალაგებელია. სოფლის ცენტრში კი ლამაზი, ეგზოტიკური შინმოუსვლელთა ტყეპარკი და სტენდია, წმინდა თომას სახელობის მონასტერით დამშვენებული.

ამ აუნერული ბუნებრივი სილამაზის გარდა მირზაანი დიდი შემოქმედთა ნაკვეთიცაა. მის ქუჩებს დღესაც ეტყობა „დიდი ადამიანების“ დიდი ნაფეხურები. მსოფლიოში გაცხროცილი სახელი ლეგენდარული დიდი ნიკო ფიროსმანაშვილსა, თეატრის გამორჩენილი მხატვრის ფარნაოზ ლაპიაშვილისა, გოგი გუნიაისა, მარიამ და ნინო თარიშვილებისა, ავთანდილ პოპიაშვილის, გამორჩენილი დიდი პედაგოგის ივანე გომელაურის.

ქართულ ენას თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში; 1906-1926 წწ. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან; თარგმნა ვ. კოროლენკოს, ა. ჩეხოვისა და გ. ჰაუსმანის თხზულებები; მის სახელმძღვანელოს — „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“, იყენებდნენ საშუალო სკოლებში; იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

1917 წელს მასწავლებელთა ყრილობამ ივანე გომელაური თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორად აირჩია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, იგი, ქალთა მე-7 გიმნაზიაში მუშავდა. იგი დიდი გატაცებით მუშავდა სწავლა-აზრდას დიდი ამოცანების განხორციელებას. ყველა ტიპის სკოლების მუშაობაში შეიტანა თავისი წვლილი.



დააფასა პარტიამ და მთავრობამ 1935 წლიას 26 ნოემბრის დადგენილებით სახალხო განათლებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭა საქართველოს შრომის გმირის წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 1 დეკემბრის დადგენილებით სახალხო განათლების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ივ. გომელაურს მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ივანე გომელაური 84 წლის ასაკში 1951 წლის 8 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

**დალი ზიროსმანაშვილი**  
მირზაანი



# არწივების ახალი თაობა დაფრთიანდა



ბის არწივის 26 ბუდე იპოვა. აქედან, გაურკვეველი მიზეზების გამო, 6-ში არწივებმა არ/ვერ დაიბუდეს, 1 კი დადასტურებულად სხვა ტერიტორიაზე გადაბუდა.

საბოლოო ჯამში, 2023 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ბუდების არწივის 19 აქტიური წყვილი გვყავდა, საიდანაც 18 წყვილის ბუდობა წარმატებულად შეგვიფასებია. 1 ბუდე, სავარაუდოა, რომ ექსტრემალური კლიმატური პირობების გამო ჩამოშალა. წელს ამ 18-მა აქტიურმა წყვილმა კი 27 ბარტყის გაზრდა შეძლო.

აღნიშნავენ „საბუკო“-ს სპეციალისტები.

საინტერესოა, როგორი იქნება 2023 წელს დარგოლილი 3 მართვეს მიგრაცია და რამდენად შეძლებენ იმ არაერთ საფრთხეს დაუპირისპირდნენ, რაც ბუდების არწივების სიცოცხლეს მათ სამიგრაციო გზაზე ემუქრება.

სპეციალისტების პერიოდული სამუშაო ვიზიტების გარდა, ეს ორგანიზაცია ჭაჭუნას ალკვეთილსა და ივრის ქალაში მოხალისეების ექსკურსიებსაც აწყობს და დაინტერესებულ პირების კიდევ უფრო ნასახლისებლად საჩუქრებსაც გასცემს.

„ზაფხულის გაუსაძლისი სიცხეების დაწყებამდე, ჩვენს წევრებთან და შემომწირველებთან ერთად, დედოფლისწყაროს ვენჯეთ და ჭაჭუნას ალკვეთილის მონახულება მოვასწარით. საველე გასვლისას, ბიომრავალფეროვნებით ალფრთოვანების, ფრინველებზე დაკვირვებისა და ჩრდილის ძიების პარალელურად, ნანახი ტერიტორიების შესახებ ვისაუბრეთ და მოხალისეებს ფოტოხაფანგების განთავსების და ველზე მუშაობის თავისებურებებიც გავაცანით. საბუკოს წევრობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია და პერიოდულად, მათ საინტერესო




გასვლებსა თუ საჩუქრებს ვთავაზობთ.“ – აღნიშნავენ ორგანიზაციაში. მსოფლიოში სულ 8 საიმერაციო მარშრუტია, რომელსაც შორ მანძილზე მიმომფრენი ფრინველები იყენებენ. აქედან 3 საქართველოზე გადის.

მოამზადა ილია მარტყოფლიძე

ილია მარტყოფლიძე

დედოფლისწყაროში არწივების ახალი თაობა დაფრთიანდა. გასული წლებისგან განსხვავებით ამჯერად მატებაა. არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის (საბუკო) აქტიურად ახორციელებს დაკვირვებას როგორც წყვილების ბუდობაზე, ისე მართვეების ზრდის პროცესსა და მათი მიგრაციის მარშრუტებზე. ამისათვის სპეციალისტები ფრინველს სპეციალურ გადამცემ მონიტორინგებს უმაგრებენ, რითაც მათი გადაადგილების დეტალებს აკვირდებიან.



ამჯერად 27 ბარტყი გაიზარდა, გასულ წელს კი 17 წყვილიდან მხოლოდ 7 მართვე

გასულ კვირას, დედოფლისწყაროში არწივების ახალი თაობის დარგოლის პროცესი დასრულდა. წლებგანდელი სეზონი მათი გამრავლების თვალსაზრისით საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. „საბუკო“-ში გაზეთ „შირაქს“ უთხრეს, რომ ამჯერად 27 ბარტყი გაზარდეს. არადა, გასულ წელს მხოლოდ 7 ბარტყის გაზრდა მოხერხდა და 17 წყვილის მხოლოდ 6 ბუდობა იყო წარმატებული.

„გასულ კვირას, ბუდების არწივის კიდევ ორი მართვე დავთავაგეთ (ანუ დავენიშნეთ GPS გადამცემებით) და ამ სახეობის წლებგანდელი სეზონიც დასასრულს მიუახლოვდა. 2023 წლის განმავლობაში ჩვენმა გუნდმა ბუქონინა წელთან შედარებით, ადგილობრივი მართვეების დარგოლილი/GPS გადამცემით აღჭურვილი მართვეების რაოდენობაც გაზარდეთ. დავრგოლეთ 13 მართვე და GPS გადამცემი დავუმაგრეთ 3 მართვეს. GPS გადამცემით მართვეების მიგრაციას დავაკვირდებით და ვეცდებით, მაქსიმალური რაოდენობის მონაცემი შევაგროვოთ, სახეობის კონსერვაციის უკეთ დასაგეგმად.

წინა წელს დარგოლილი ერთი მართვე — სნო, ვის შესახებაც წინა პოსტებში ვიამბობდით, აზერბაიჯანში და რუსეთში მოგზაურობის შემდეგ, ისევ საქართველოს ტერიტორიაზე დაბრუნდა.“

წინა წელს დარგოლილი ერთი მართვე — სნო, ვის შესახებაც წინა პოსტებში ვიამბობდით, აზერბაიჯანში და რუსეთში მოგზაურობის შემდეგ, ისევ საქართველოს ტერიტორიაზე დაბრუნდა.“



## გავზრდა ფეხბურთი ვითარდება

სოფელ ქვემო ქედში აქტიურად მიმდინარეობს გავზრდა ფეხბურთის განვითარება მწვრთნელის არჩილ მარტიამვილის ხელმძღვანელობითა და

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ქვემო ქედის ავთანდილ ხუმარაშვილის მხარდაჭერით. ქვემო ქედის ღია პირველობაზე, რომელიც 12 ივლისს გაიხსნა, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გუნდები — „ნიკორა“ და „ვარდისუბანი“. შეხვედრა „ნიკორას“ გამარჯვებით 3-2 დასრულდა. ბომბარდირი გახდა საბა დელიბაშვილი.



**ულოცავენ!**

**ლეილა გაბრაბიონ (გაბაღიუს)**

ჩვენს უსაყვარლეს, ცნობილ პოეტს, სიკეთით სავსე ადამიანს, სულითა და გულით ვულოცავთ დაბადების დღეს.

საუკეთესო სურვილებითა და უღრმესი პატივისცემით,

**დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიშვნელოვან ანსოციატია.**

## სასამართლო სტატისტიკა

**დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში 2023 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის მდგომარეობით შესულ და განხილულ საქმეთა სტატისტიკა:**

სამომქალაქო სამართლის საქმე:

შევიდა — 58 საქმე; (წარმოებაში იყო -136 საქმე);

დამთავრდა — 55 საქმე (მათ შორის განწყვეტილების გამოტანით - 13 საქმე, მიღებაზე უარი ეთქვა - 39 საქმე, დატოვებულია განუხილველად — 3 საქმე);

აღმინისტრაციული სამართლის საქმე:

შევიდა — 0 საქმე (წარმოებაში იყო 7 საქმე); დამთავრდა - 0;

აღმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე

შევიდა — 61 საქმე (წარმოებაში იყო 31 საქმე);

განხილულ იქნა - 51 საქმე (სიტყვიერი შენიშვნა - 23, ჯარიმა - 28);

**ხოლო დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოსულ და განხილულ საქმეთა წლიური სტატისტიკა ასეთია.**

სამომქალაქო სამართლის საქმე:

შევიდა - 237 საქმე (წარმოებაში იყო -131) დამთავრდა - 232 საქმე (მათ შორის განწყვეტილების გამოტანით - 38, განსახილველად მიღებაზე უარი ეთქვა - 171 საქმე; შეწყდა - 7, დატოვებულია განუხილველად — 16 საქმე);

აღმინისტრაციული სამართლის საქმე:

შევიდა — 8 საქმე (წარმოებაში იყო -4); დამთავრდა — 5 საქმე (დატოვებულია განუხილველად);

აღმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე

შევიდა - 120 საქმე (წარმოებაში იყო -29); განხილულ იქნა - 113 საქმე (შეწყდა - 6, სიტყვიერი შენიშვნა - 48, ჯარიმა-59);

ამინდი		დედოფლისწყარო		სურამთი		საბურთალო		თბილისი		სამცხე-ჯავახეთი	
ორშაბათი 24.07	სამშაბათი 25.07	ორშაბათი 26.07	სურამთი 27.07	საბურთალო 28.07	სამცხე-ჯავახეთი 29.07	სამცხე-ჯავახეთი 30.08	სამცხე-ჯავახეთი 31.08	სამცხე-ჯავახეთი 01.09	სამცხე-ჯავახეთი 02.09	სამცხე-ჯავახეთი 03.09	სამცხე-ჯავახეთი 04.09
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
31°	18°	28°	17°	28°	18°	31°	19°	32°	18°	30°	19°

გამომცემელი შპს „შირაქი“  
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**  
 რედაქტორი **ილია მარტყოფლიძე**

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჭანგაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბინაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანაშვილი (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიჭო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.  
**გაზეთის გამომწერა წელიწადში - 20 ლარი**